**ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა**
**(საკონსულტაციო მომსახურება – კომპანიების შერჩევა)**

**საქართველო**

**რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი (SRMIDP) – (P147521)**

**საინჟინრო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება**
**წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მოსაწყობად**
**შპს „ვილა-გოდოლის“ კუთვნილი სასტუმროსთვის სოფელ რუისპირში**

**პროექტის საიდენტიფიკაციო ნომერი:** SRMIDP/C/CQS/07-2019

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ხორციელებს რეგიონული განვითარების მესამე და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტებს.

აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობის კომპონენტს. კერძო ინვესტიციის წახალისების მიზნით, საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკთან ერთად ეხმარება კერძო მეწარმეებს განახორციელონ ინვესტიცია ტურიზმისა და აგრობიზნესის სექტორში. საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა განისაზღვრება არა უშუალოდ ბიზნეს პროექტის დაფინანსებით, არამედ მათთვის მომიჯნავე მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობით.

სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების კომპონენტის ფარგლებში დონორთან შეთანხმებით განსაზღვრულია წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემის მოსაწყობად საინჟინრო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე შპს „ვილა გოდოლის“ კუთვნილი საპროექტო სასტუმროსთვის.

დამკვეთს (ფონდს) სურს ისარგებლოს ტექნიკური მომსახურებით ხსენებული ინფრასტრქუტურის მოსაწყობად საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური მოკვლევისა და დეტალური საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად. ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა გულისხმობს პროექტის ეკონომიკურ ანალიზს, რომელიც უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო კაპიტალური ხარჯებისა და, ასევე, საოპერაციო და მოვლა-შენახვის საშუალო წლიური ხარჯების შეფასებას. აღნიშნული მონაცემები აუცილებელია მომზადდეს პროექტის ტექნოლოგიური გადაწყვეტის ყველა შესაძლო ალტერნატივისთვის (პროექტის ტექნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე წარმოდგენილ უნდა იყოს ტექნოლოგიური გადაწყვეტის სულ მცირე ორი ალტერნატივა). ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას ხარჯების გაანგარიშების თითოეული ალტერნატივის მეთოდოლოგია შესაბამისი განმარტებითა და მონაცემთა წყაროების მითითებით.

დასაპროექტებელი ობიექტი წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე შპს „ვილა გოდოლი“-ს კუთვნილი სასტუმროსთვის მოსაწყობ წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემებს, რომელიც უზრუნველყოფს სასტუმრო კომპლექსის შეუზღუდავ ფუნქციონირებას. სასტუმროსთვის მისაწოდებელი წყლის ბუნებრივი წყარო განსაზღვრული არ არის და ამის დადგენა კონსულტანტის დავალების შემადგენელი ნაწილია.

საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება მიზნად ისახავს (1) სასტუმრო კომპლექსისთვის მისაწოდებელი წყლის ოპტიმალური ბუნებრივი წყაროს მოძიებას; (2) წყალმომარაგების სათავო ნაგებობის, მილსადენის, სამარაგო რეზერვუარების, სასმელი წყლის გაუვნებელყოფის, საკანალიზაციო კოლექტორის, კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის და გაწმენდილი წყლის გამყვანი კოლექტორის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას და (3) წყალაღების ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას.

ამისათვის საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური და ზოგადი საექსპლუატაციო მახასიათებლებისა და მონაცემების განხილვა, შესწავლას და გაანალიზება სოციალური და ეკონომიკური შეფასებებისა და ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით; სრულყოფილი კვლევის და შეფასების ჩატარება და ზემოთხსენებულ კვლევებზე დაყრდნობით დეტალური საინჟინრო პროექტისა და ხარჯთაღრიცხის დოკუმენტაციის მომზადება. კონსულტანტი იმუშავებს დამკვეთის (ფონდის) ზედამხედველობის ქვეშ შპს „ვილა გოდოლის“ წარმომადგენლებთან შეთანხმებით. წარმოდგენილი საინჟინრო პროექტი უნდა იყოს ეკონომიკურად გამართლებული და გარემოსათვის უვნებელი.

სქემის დონეზე უნდა დამუშავდეს წყალმომარაგების **ორი შესაძლო ვარიანტი** და ტექნიკურ-ეკონომიკური შედარების საფუძველზე შეირჩეს მათგან უმჯობესი.

საკონსულტაციო მომსახურება განხორციელდება ორ ეტაპად:

*<u>I ეტაპი</u>* - საკვლევაძიებო სამუშაოების შესრულება და ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.

*<u>II ეტაპი</u>* - დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სატენდერო მასალების მომზადება.

მოცემული დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა **4 თვე.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს (“კონსულტანტებს”), რათა მათ გამოხატონ ინტერესი ზემოხსენებულ მომსახურებაზე. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და ინფორმაცია იმის დასტურად, რომ ისინი კვალიფიცირებულნი არიან ზემოხსენებული მომსახურების დარგში. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ქვემომოყვანილით: კორპორატიული პროფილი, გამოცდილების ხანგრძლივობა, საპროექტო საქმიანობის ანალოგიური გამოცდილება, წამყვანი სპეციალისტების რესურსები, კომპანიის ძირითადი საქმიანობა. მოკლე სიაში მოსახვედრ შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენს:

- **კონსულტანტს 2013 წლის 1 იანვრიდან ინტერესის გამოხატვის წარდგენის ბოლო ვადამდე წარმატებით უნდა ჰქონდეს შესრულებული (დასრულებული) სულ მცირე 3 ჭაბურღილის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების კონტრაქტი.**

*შენიშვნა: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უფლებას იტოვებს გადაამოწმოს წარმოდგენილი რეკომენდაციები და შეფასების მიზნებისათვის გამოიყენოს მოპოვებული ინფორმაცია.*

დაინტერესებული კონსულტანტების ყურადღება უნდა გამახვილდეს მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპების: კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ IBRD-ის სესხებისა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისის გამოცემა) პარაგრაფზე 1.9. (“სახელმძღვანელო პრინციპები კონსულტანტებისათვის”), სადაც მითითებულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით.

თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისათვის მისაღები გაერთიანების ფორმას წარმოადგენს ქვე-კონსულტანტობის ან ერთობლივი საწარმოს ფორმა და განაცხადში ნათლად უნდა იქნას მითითებული გაერთიანების ტიპი. კონსულტანტის კორპორატიული გამოცდილების შეფასებისას გათვალისწინებული არ იქნება ქვე-კონსულტანტების გამოცდილება).

ანალოგიურ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება #1 ფორმით უნდა იქნას წარმოდგენილი, რომელიც მგფ-ს ვებგვერდზე იქნება ატვირთული შემდეგ ბმულზე: http://mdf.org.ge/wp-content/uploads/2014/02/Form-for-References.pdf

კონსულტანტს რეკომენდაციას ვუწევთ თავის ინტერესის გამოხატვის წერილი 30 გვერდიანი ფორმატით წარმოადგინოს. კომპანიის ბროშურები შესაძლოა წარმოდგენილი იქნას დანართის სახით, და მასზე არ გავრცელდება 30-გვერდიანი ლიმიტი.

კონსულტანტი შეირჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული (CQS) შერჩევის მეთოდით, კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ IBRD-ის სესხებისა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში (2011 წლის იანვრის გამოცემა) III განყოფილებაში მოცემული მეთოდის მიხედვით.

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00-დან 18:00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია მგფ-ს შესყიდვების სამსახურში, ტელეფონის ნომერი: +99532 2437001, შიდა ნომერი 414, ქ-ნი ეთო კვირიკაშვილი, შესყიდვების სპეციალისტი.

განცხადება ინტერესის გამოხატვაზე მოწოდებულ უნდა იქნას ქართულ ენაზე წერილობით ქვემოთმოყვანილ მისამართზე (პირადად, ელ-ფოსტის, ფაქსის ან საკურიერო ფოსტის მეშვეობით) არაუგვიანეს **2019 წლის 13 ნოემბრის, 17:00 საათისა.**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ფონდის აღმასრულებელი დირექტორი**
**ბ-ნი გიორგი შენგელია**
**მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი 150, თბილისი 0112, საქართველო,**
**ტელ: +99532 2437001 ან 02/03/04**
**ელ. ფოსტა:** procurement@mdf.org.ge